ხაშურის მოამბე

№9 3 აგვისტო, ორშაბათი, 2015 წელი

ალოობა - 2015

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ალოობა მთელი ტემპით მიმდინარეობს. როგორც ჩვენთან საუბარში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსმა ბატონმა ჯემალ გელაშვილმა განაცხადა, წელს რაიონში თავთავიანი კულტურები 3864 ჰექტარზე იყო დათესილი. აქედან ხორბალი -2500 ჰექტარზე, ქერი - 570 ჰექტარზე, შვრია კი - 794 ჰექტარზე. ამ ნათესებმა, გარდა ხალებისა, ყველა ტერიტორიული ერთეული მოიცვა. თავიდანვე შემუშავდა გეგმა-გრაფიკი, რომელიც ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებთან შეთანხმდა. კახეთში ალოობის დამთავრების შემდეგ, შპს „მექანიზატორის“ დახმარებით შემოყვანილ იქნა 8 კომბაინი. ამას დაემატა სხვა შემოსული კომბაინები, რაც სრულიად საკმარისია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. პირველ დღეებში შერჩევითი აღება ხდებოდა, 23 ივლისიდან კი უკვე მასიური აღება დაიწყო. ე.წ. დაბალი ზონები უკვე გავიარეთ, მაღალ ზონებში, კი (ცოცხნარა, წაღვლი) ამ დღეებში დავიწყებთ ალოობას. აღსანიშნავია, რომ წელს, შარშანდელთან შედარებით, ალოობა ერთი კვირით ადრე დავიწყეთ, რასაც ხელი მშრალმა ამინდებმა შეუწყო.

ორგანიზებულობამ, თავის დროზე სათესლე მასალის სწორად შერჩევამ, კონსულტაციებმა შედეგი გამოიღო და მოსავალი მართლაც ჩინებულია. საშუალოდ ჰექტარზე მოსავალი 4,5 ტონას გასცდება. ვაყის, ფლევის, გომისა და წრომის ფერმერების საშუალო მაჩვენებელი კი 7 ტონას აღწევს. გვყავს რეკორდსმენიც – ფერმერმა ილია მაჭარაშვილმა ამერიკული სათესლე მასალით -„ჰიონერი“ (მეორე რეპროდუქცია) ჰექტარზე საშუალოდ 9,5 ტონა მიიღო.

წელს არის სიახლეც: საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ე.წ. კონფლიქტისპირა ფერმერებისთვის (წაღვლი, ჩორჩანა), რომლებსაც გააჩნიათ 5 ჰექტარზე მეტი ნათესი, მოსავლის აღება მოხდება სრულიად უფასოდ. ასეთი ნათესების საერთო ფართობი დაახლოებით 110 ჰექტარია, რაც ფერმერებს 10 ათასი ლარის დაზოგვის საშუალებას მისცემს.

ალოობა-2015 ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 6-7 აგვისტოს დასრულდება,–აღნიშნა საუბრის ბოლოს ბატონმა ჯემალმა.

ფლევში წყლის რესურსის კვლევა იწყება

წყლის პრობლემა სოფელ ფლევისთვის სიახლეს არ წარმოადგენს და ეს ყველაზე უკეთ მუნიციპალიტისთვის არის ცნობილი. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ფლევი უხვწყლიანობით არასდროს გამოირჩეოდა.

გასულ წელს, მუნიციპალიტეტის ინიცირებით, ფლევში კეთილმოეწყო წყარო, თუმცა, ცხადია, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ეს ღონისძიება საკმარისი არ არის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, განსაკუთრებით ზაფხულში, როცა წყლის დებეტი ისედაც დაბალია. ამიტომ ასევე მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, განხორციელდა კომპეტენტური ჰიდროგეოლოგიური კვლევა, რათა სოფელში მოეწყოს ჭაბურღილები და მოსახლეობამ წყალი მიიღოს.

ჭაბურღილების მოწყობა განხორციელდება უახლოეს ხანებში მხოლოდ ჰიდროგეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, რადგანაც მუნიციპალიტეტს არ აქვს უფლება რესურსები უპასუხისმგებლოდ განკარგოს.

აქვე ვაცხადებთ, რომ დასანანი და უცნაურიც კია, როცა რიგით მოქალაქეებს, რომელთა პრობლემის მოგვარებასაც ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, უპასუხისმგებლო ქმედებებისაკენ უბიძგებს ის ადამიანი, რომლის უშუალო მოვალეობასაც წარმოადგენს მოქალაქეებთან მჭიდრო კავშირი და მათთვის მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის პრესცენტრი

დახმარება კვლავაც გაგრძელდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად ორ ხაშურელ ბენეფიციარს მუდმივ სარგებლობაში ინვალიდის ეტლი გადასცა.

ეტლები ხაშურის მუნიციპალიტეტმა შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციართათვის გადასაცემად მიიღო.

მუნიციპალიტეტის გამგეობას მუდმივი ყურადღების ქვეშ ჰყავს ამ კატეგორიის ბენეფიციარები და მსგავსი ხასიათის თანადგომა მომავალშიც გაგრძელდება.

სურამულაზე და ბიჯნისულაზე ნაპირსამაგრი და გაწმენდითი სამუშაოები უკვე დაიწყო. ეს საკმაოდ მასშტაბური პროექტია და, იმედია, მისი დასრულების შემდეგ ეს მდინარეები წყალმოვარდნის დროსაც აღარ იქნება მოსახლეობისათვის საშიში.

ვაჟა-ფშაველას ქუჩა მოასფალტდა

ხაშურში ვაჟა-ფშაველას ქუჩის მოასფალტების სამუშაოები დასრულდა. რამდენიმე დღეში დაიწყება სანიაღვრეების მოწყობის სამუშაოები. ვაჟა-ფშაველას ქუჩა ხაშურში ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბანია.

მოასფალტების სამუშაოები რეგიონალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

კაცი, რომელმაც საბჭოთა კავშირის გმირობაზე უარი განაცხადა

ძველი თაობის ყველა წარმომადგენელმა შესანიშნავად იცის, კომუნისტურ ეპოქაში რამხელა „ტიტული“ იყო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ეს გახლდათ ქვეყნის უმაღლესი ჯილდო და გამორჩეულთა შორის მხოლოდ გამორჩეულებს ეძლეოდათ სამშობლოს წინაშე რაღაც განსაკუთრებული დამსახურებისთვის. ამასთან, ამ ჯილდოს მფლობელი დიდი პრივილეგიებითაც სარგებლობდა. დიახც, ეს ცნობილი ფაქტია, მაგრამ გსმენიათ, ამ ჯილდოზე წარედგინოთ

ვინმე და ამ პერსონას მასზე უარი ეთქვას? მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა. არადა, ეს კაცი ჩვენს ქალაქში ცხოვრობს. ბობოქარი ცხოვრებით იცხოვრა და დღეს მშობლიურ ქალაქში, მშობლიურ კერიაზეა.

იური ბეჟუაშვილი 1940 წელს დაიბადა. ხაშურის პირველი საშუალო სკოლის შემდეგ მან ჯერ გორის პედაგოგიური ინსტიტუტი (ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი), შემდეგ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (იურიდიული ფაკულტეტი), ბოლოს კი მოსკოვში კონტრდაზვერვის უმაღლესი სკოლაც დაამთავრა. მისი კარიერის აღმასვლა კი 1972 წელს დაიწყო. მანამდე ოპერატიული ოფიცერი უცებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის დაცვის უფროსი გახდა.

იური ბეჟუაშვილი: – მეუღლესთან ერთად მარჯანიშვილის მეტროსთან ვიდექი, როდესაც ვიღაც ხულიგანმა ჩემს მეუღლეს შეურაცხყოფა მიაყენა. ვერც წარმოვიდგენდი, რომ მასთან ერთად კიდევ ოთხნი იყვნენ. მე შენიშვნა მივეცი და ვეცადე, ინციდენტი ამერიდებინა. სპეცსკოლაში ნავარჯიშევს, იმხელა უპირატესობა მქონდა იმ ახმახთან, რომ ამ უპირატესობის გამოყენება სირცხვილიც იყო. მაგრამ თავს უცებ ხუთივე დამესხა და მეც იძულებული ვიყავი თავი დამეცვა. მოკლედ, ძალიან ვისიამოვნე (იცინის)... ისინი კი ყველა საავადმყოფოში მოხვდნენ, მაგრამ მეც შარში გავეხვიე...

მთავარი „შარი“ კი უშიშროების მრისხანე მინისტრი ალექსი ინაური იყო, რომლის გაუგებარი, რა თქმა უნდა, ეს ინციდენტი არ დარჩებოდა. მეორე დღესვე ბატონი იური ინაურის კაბინეტში აღმოჩნდა. მასთან ერთად კი კაბინეტში მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი კონსტანტინე კეთილაძეც იმყოფებოდა. აი, აქ კი სრულიად საპირისპიროდ მოხდა ყველაფერი. ინაურს, რომელმაც ინციდენტის უწვრილესი დეტალებიც კი უკვე ზეპირად იცოდა, ჩვენი წერილის გმირის გასაკვირად, საყვედური არც დასცდენია. პირიქით, შეაქო კიდეც. ყოჩაღ, უთქვამს მას,– კონტრმზვერავს ყოველთვის უნდა შეეძლოს თავის დაცვა! და ამას მოჰყვა ფრაზა, რომლის წარმოდგენაც მაშინ უბრალოდ შეუძლებელი იყო: – ჩვენ ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ: დღეიდან შენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ისპირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის დაცვის უფროსი იქნები...

ედუარდ შევარდნაძე ახალი დანიშნულია ამ პოსტზე. მისი დაცვის უფროსობა, იმის გარდა, რომ ეს ძალიან მაღალი პოსტი იყო ნებისმიერი ოფიცრისთვის, უდიდესი პასუხისმგებლობაც გახლდათ, მითუმეტეს, რომ მაშინ დაცვა ისეთი მრავალრიცხოვანი არ იყო, როგორც დღეს. სხვათაშორის, ბატონი იურის მოადგილედ ხაშურისთვის კარგად ცნობილი მიხეილ ოსაძე განამწესეს.

ბატონი იური ძალიან თბილად იხსენებს იმ პერიოდს. თბილად იხსენებს ედუარდ შევარდნაძესაც და მისი ოჯახის წევრებსაც, რომელთანაც ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა. ისეთი პიროვნებები, როგორიც ბატონი იურია, როგორც წესი, სიტყვაძუნწები არიან და არასოდეს ცდილობენ, თავისი თავის აფიშირება მოახდინონ. თუმცა, ჩვენ მაინც მოვახერხეთ და იმ პერიოდის ერთი ეპიზოდიც დავტყუეთ.

საქართველოს 1973 წელს სსრკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი კირილენკო სტუმრობდა. იგი ბრეჟნევის შემდეგ მეორე პირი გახლდათ ამხელა ქვეყანაში და, აქედან გამომდინარე, უზარმაზარი ფიგურაც. თბილისში ჩამოსვლამდე მას გუდაუთაში მოუწყეს შეხვედრა და ორი დღე იქ, სამთავრობო რეზიდენციაში, მოასვენეს. შევარდნაძის და კირილენკოს აპარტამენტები ერთ შენობაში ყოფილა. ვიზიტის მეორე დღეს, დილაადრიან, კირილენკო სასეირნოდ გამოსულა ულამაზეს ბაღში. თუმცა ბაღში გასვლამდე მას, ბუნებრივია, შენობის ჰოლი უნდა გაევლო. ჰოლში როიალი მდგარა, რომელზეც იური ბეჟუაშვილი,დაბალ ხმაზე,ერთ-ერთ ცნობილ ინგლისურ სიმღერას ასრულებდა (ბატონი იური ვირტუოზულად ფლობს ამ ინსტრუმენტს და უაქცენტოდ საუბრობს ინგლისურად). კირილენკოს უმალ შევარდნაძისთვის

მიუმართავს და თითქმის საყვედურის კილოზე უთქვამს, რა საჭირო იყო ასეთ დროს ცნობილი მუსიკოსების მოწვევა. ხოლო, როცა აუხსნეს, რომ ეს პიროვნება შევარდნაძის დაცვის უფროსი იყო, გადარეულა კაცი, შევარდნაძე კი გაბადრული და კმაყოფილი უხსნიდა მას, რომ მისი დაცვის უფროსს ბევრად მეტიც შეეძლო. სხვათაშორის, კირილენკოს დაცვის ორმეტრიან „ამბალებს“ იმ საღამოს პირდაპირ, მორიდების გარეშე, სმაში გამოუწვევიათ. შევარდნაძე მიმხვდარა სიტუაციას და მეზობელ მაგიდასთან მჯდომ დაცვის უფროსისთვის თვალის ჩაკვრით უნიშნებია, მიდი აჩვენე მაგათ ქართული „კლასიო“. აი, იქ დაწყებულა სწორედ „ლომების ზეიმი“. თუმცა, აქ მრავლობითი რიცხვი აღარ გამოდგება. ორიოდ საათში მაგიდასთან მხოლოდ ერთი ლომი სამ თეფშზე თავდადებულ რუსს დაჰყურებდა, რომლებიც ორი დღე ვეღარ გააღვიძეს და სსრკ-ს მეორე პირი დაცვის გარეშე დატოვეს.

70-იანი წლების ბოლოს თბილისს მოსკოვის კონტრდაზვერვის სპეცსასწავლებლის უფროსი ბაიარინოვი ესტუმრა. გენერალმა პირადად მოინახულა იური ბეჟუაშვილი და განუცხადა, რომ მისი პერსონა სამ სხვა კანდიდატს შორის წარდგენილი იქნება საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე. (ამ სამიდან ერთ-ერთი გმირი გახდებოდა). იმ კონკრეტულ ოპერაციაზე, რომელიც უცხოელი მზვერავების გამოაშკარავებას ეხებოდა,ბატონი იური არ საუბრობს,მაგრამ ფაქტი მართლაც საინტერესოა. და უფრო საინტერესო მისი პასუხი: ეს, რა თქმა უნდა,

უდიდესი პატივია ნებისმიერი ჩვენი მოქალაქისთვის, მაგრამ გმირის წოდების მიღების შემთხვევაში, ყველასთვის ცნობილი სახე გავხდები. ეს კი კონტრმზვერავისთვის ოპერატიული კარიერის დასასრულს ნიშნავს. მე კი ეს სამსახური მომწონს და არ მინდა ჩემი კარიერა, ამ კუთხით, ასე დასრულდეს...

გაგიჟებულა ბაიარინოვი, აზრზე ხარ, რაზე ამბობ უარსო?... პასუხი ურყევი იყო.

(გაგრძელება III გვერდზე)

კირილენკოს ვიზიტი საქართველოში. მარცხნივ სიღრმეში ი. ბეჟუაშვილი.

კაცი, რომელმაც საბჭოთა კავშირის გმირობაზე უარი განაცხადა

(დასასრული)

ბატონი იური, დღევანდელი გადასახედიდან ამბობს, რომ ეს, მისი მხრიდან შეცდომა იყო, მაგრამ მაშინ, ახალგაზრდას, ასე სწამდა. სხვათაშორის, მცდარ გადაწყვეტილებად მიიჩნევს იმასაც, რომ 1975 წელს, შემოდგომის ერთ დღეს, მან შევარდნაძეს თხოვნით მიმართა, რომ გაეთავისუფლებინა დაცვის უფროსის მოვალეობისაგან. შევარდნაძეს თვალები შუბლზე ასვლია – ამ ადგილზე ათასები ოცნებობენ და შენ უარს ამბობო.?.. მაშინაც პასუხი ურყევი იყო.

შემდეგ იყო ოპერატიული მუშაობის წლები, პოლკოვნიკის წოდებამდეც მივიდა. ასევე გახდა იუსტიციის უფროსი მრჩეველი (ესეც პოლკოვნიკის ჩინის ტოლფასია). სხვადასხვა წლებში იყო მარნეულის, ფოთის პროკურორი და ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის საგამომძიებლო სამმართველოს უფროსი. ეს სამმართველო კი საქართველოს გარდა სომხეთსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებსაც მოიცავდა.

დღეს ბატონი იური პენსიონერია. უკან დარჩა მართლაც ბობოქარი ცხოვრება საოცარი დღეებით. ასეთი ბიოგრაფიის მქონე ადამიანთან და ასეთ მოსაუბრესთან დიალოგი მუდამ საინტერესოა. მითუმეტეს, რომ პირველივე წამს გრძნობ – შენს წინ დგას პატიოსანი და წესიერებით აღსავსე ადამიანი. ამას თუნდაც ის გარემო გაგრძნობინებს, სადაც ბატონი იური ცხოვრობს – ჩვეულებრივი „ხაშურული“ სახლი, როგორიც ყველა რიგით მოქალაქეს აქვს. არადა, იმ კორუფციით გაძეძგილ ეპოქაში, თუნდაც ფოთის ყოფილი პროკურორი, დამეთანხმებით, რომ სულ სხვა სტერეოტიპს აღვიძებს ჩვენში – უზარმაზარი ვილებითა თუ სასახლით.

29 ივლისს, ბატონი იური 75 წლის გახდა. გულწრფელად ვულოცავთ მას ამ თარიღს და ჯანმრთელობას ვუსურვებთ.

გ. გოგოლაძე

სურათზე: კირილენკოს ვიზიტი. ე. შევარდნაძის უკან (სიღრმეში) ი. ბეჟუაშვილი.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი - იყო და აღარ არის

იმ საუკუნეში და იმ წლებში მთელს ჩვენს ქვეყანაში, ყველა რაიონში არსებობდა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატები, რომლებიც ძირითადად ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობდნენ და მოსახლეობას იაფი და ხელმისაწვდომი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მასალებით ამარაგებდნენ. მსგავსი ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი ჩვენთანაც იყო, თანაც საკმაოდ მძლავრი და მრავალპროფილიანი, სადაც დასაქმებული იყო ასობით ადამიანი. კომბინატს თავისი საკმაოდ ხელშესახები წვლილი შეჰქონდა რაიონის ბიუჯეტის ფორმირებაში. დღეს მასზე კეთილი მოგონებებიდა შემოგვრჩა. სადღაა იგი, მისი საამქროები და მატერიალური ბაზა. ყველაფერი გაქრა, აღიგავა მიწისაგან პირისა. მათ შორის ერთ-ერთი იყო აგურის ქარხანა. ალბათ ბევრს ისევ ახსოვს იგი. ქარხანა ამარაგებდა რაიონსაც და მეზობელი რაიონების მოსახლეობასაც და წარმოება-დაწესებულებებს, ხაშურული წითელი აგურით, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ხარისხით, გამძლეობით, ფორმით, განთქმული იყო მთელ ქვეყანაში. სწორედ ამ აგურით არის აშენებული და დამშვენებული ჩვენი ქალაქი. ამასთან, ბლომად მოიპოვებოდა მტკვრის კალაპოტში რიყის მშვენიერი ქვა, სილა და ხრეში. ყველა ერთად შესანიშნავ პირობებს ქმნიდა, რომ რაიონში კერძო ბინათმშენებლობა განვითარებული იყო. როგორც უკვე ვთქვი, ყველაფერი ეს იაფი და ხელმისაწვდომი იყო.



დღეს ამ ქარხნის და თვით კომბინატის ტერიტორია ისეა გაფცქვნილი, რომ ვერც კი იფიქრებ, რომ რამდენიმე წლის წინ აქ დიდებული ქარხანა და მისი მრავალი პროფილის სათავსო-საამქროები იყო განლაგებული, მაინც რას აწარმოებდა მაშინ ეს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი? წითელ აგურებს (მასზე უკვე ვთქვით), საამშენებლო კირს, უალკოჰოლო სასმელებს, საკედლე ბლოკს, შრომის იარაღებს (თოხს, ბარს, ცულს, ფიწალს, ცელს და ა.შ.), შრომის საშუალებებს (ხელთათმანებს, სპეცტანსაცმელს, წინსაფრებს), ჰქონდა საუკეთესო საავეჯო-სახელოსნო, სამჭედლო და პარაფინის სანთლის საამქრო, რომელიც სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ხასიათის სანთლებს ასხამდა, უშვებდა დეკორატიულ, ლამაზი დიზაინის სანთლებს, იმ დროს, როცა რაიონში და მთელს საქართველოში, საყოველთაო უშუქობა იყო, ამ საამქროს ნაწარმმა თავისი ფუნქცია წარმატებით შეასრულა. მაშინ თითქმის ყველა ოჯახში და წარმოება-დაწესებულებებში ამ საამქროს მიერ დამზადებული სანთელი იწვოდა და ანათებდა.

ახლა ეს ყველაფერი მწარე მოგონებათა სფეროს განეკუთვნება. ვიღაცამ შეიძლება იფიქროს, რომ წერილის ავტორს ნოსტალგია მოძალებიაო, რატომაც არა, არც უიმისობა შეიძლება. ის, რაც გვქონდა, აღარ გვაქვს, გავყიდეთ ან გავანადგურეთ, ან სულაც დაუდევრობით და ბნელი ზრახვებით განადგურდა, აღარ ფუნქციონირებს საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა და იგი სულ უფრო ნადგურდება და დამცრობილი ხდება. მიწისაგან პირისა აღიგავა ღვინის ქარხანა, უკვე თითქმის გადაუწყვეტიათ მინის ტარის ქარხნის დემონტაჟი. ასე, რომ არცერთი ძველი ქარხანა-ფაბრიკა აღარ მუშაობს, ახლები კი არ შენდება. ხომ არ დადგა დრო, ადგილობრივ რესურსებზე მომუშავე საწარმოები აღვადგინოთ და ისინი ერთ სისტემაში – ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში მოვაქციოთ? გამოგვეხმაურეთ და გამოთქვით თქვენი მოსაზრებები ამ თემაზე. ველით თქვენს რეაგირებას, ძვირფასო მკითხველო, კომბინატის ძველო მუშაკებო!

რ. მარგველაშვილი

მიხეილ სააკაშვილი მრჩეველმა ქალმა დიდ შარში გახვია!

„მიხეილ სააკაშვილი მრჩეველმა ქალმა დიდ შარში გახვია!" - ამ სათაურით სტატიას „კვირის ქრონიკა" აქვეყნებს, რომელშიც მიხეილ სააკაშვილის მრჩევლის თანმხლები პირის, ოდესაში ჩადენილ მკვლელობაზეა საუბარი. „საეთაშორისო მაწანწალა, ოდესის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილი სკანდალში ეხვევა. რამდენიმე დღის წინათ, ოდესაში მკვლელობა მოხდა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ამერიკელი მრჩევლის, მოლი მაკ-კიუს მეგობარმა ჩაიდინა. მოლი მაკ-კიუ სააკაშვილის დიდი ხნის მრჩეველია და ეს ქალბატონი მის პოლიტიკურ მოღვაწეობას შლეიფად გასდევს. ის ამერიკულ ლობისტურ კომპანია „პოდესტა გრუპში"მუშაობდა, რომელსაც „ნაციონალები", კერძოდ, გიგა ბოკერია და მისი უშიშროების საბჭო წლების განმავლობაში მილიონებს უხდიდა, რომ „გაეპრავებინათ" სააკაშვილის დანაშაულებრივი მმართველობა. შეგახსენებთ, რომ უშიშროების საბჭოს აპარატის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობის საბიუჯეტო სახსრებისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფულადი თანხების არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტებთან დაკავშირებით, გიგა ბოკერია პროკურატურამ დაიბარა მოწმის სტატუსით. ბოკერია უშიშროების საბჭოს ბიუჯეტს არ სჯერდებოდა და თავისი დანაშაულებრივი პარტიის საერთაშორისო პიარსა და სხვა საქმიანობას პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდანაც ახარჯავდა. ლობისტი კომპანიების მეშვეობით, ევროსაბჭოს დეპუტატებმა და ამერიკელმა სენატორ-კონგრესმენებმა, არაერთხელ დაიცვეს სააკაშვილის რეჟიმის ინტერესები. მათი მთავარი საზრუნავი „ნაციონალური მოძრაობისა" და სააკაშვილის პიარი გახლდათ და არა, ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა. საერთაშორისო მხარდაჭერას „ნაციონალური მოძრაობა" სწორედ საბიუჯეტო თანხებით მოსყიდული ლობისტებით ყიდულობდა.

„კვირის ქრონიკამ" 2014 წელს გამოაქვეყნა იმ ლობისტური კომპანიების მცირე ჩამონათვალი, რომელთაც მილიონობით დოლარს უხდიდა სააკაშვილი, მათ შორის არის სწორედ „პოდესტა გრუპიც", რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ მუშაობდნენ, გავლენიან უცხოურ მედიაში აქვეყნებდნენ მათ მხარდამჭერ სტატიებს, აკეთებინებდნენ დასავლელ პოლიტიკოსებს „ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერ განცხადებებს. „კვირის ქრონიკა" წერდა, რომ მარტო ერთ ლობისტურ კომპანიას „პოდესტა გრუპს" გიგა ბოკერიამ 2010 წელს 600 ათასი დოლარი გადაუხადა ამერიკაში მიხეილ სააკაშვილის პიარისთვის. იმავე კომპანიასთან, 2012 წელსაც გააფორმა ერთწლიანი ხელშეკრულება უშიშროების საბჭომ და კვლავ 600 ათასი დოლარი გადარიცხა. „კვირის ქრონიკა" მაშინ წერდა, რომ ეს ფული წყალში გადაყარა ბოკერიამ, რადგან ამერიკაში „პოდესტა გრუპის" პიარმა ვერ უშველა მიხეილ სააკაშვილს და მის პარტიას, დრომ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა და ის ფული წყალში გადაყრილი არ აღმოჩნდა, რადგან უკრაინაში გადაბარგებული მიხეილ სააკაშვილის პიარმომსახურებას სწორედ ეს კომპანია განაგრძობს და როგორც ხედავთ, „პოდესტაგრუპის" წარმომადგენელი მიხეილ სააკაშვილმა მრჩევლად დანიშნა. ახლა მოლი მაკ-კიუ მიხეილ სააკაშვილთან ერთად უკრაინაში იმყოფება და აგრძელებს ლობისტურ საქმიანობას, მისი დამფინანსებლის სასარგებლოდ, რომელმაც ჯამში მის კომპანიას მილიონ 200 ათასი გადაურიცხა. საქმე ის გახლავთ, რომ შესაძლოა, მილიონ 200 ათასი „პოდესტა გრუპის" წარმომადგენელს შხამად ამოუვიდეს და ასევე, მის გადამხდელსაც, რადგანაც ოდესაში მოლი მაკ-კიუს მეგობარი მამაკაცის მიერ ჩადენილმა მკვლელობამ სიტუაცია პროკურატურასა და სააკაშვილს შორის ძალიან დაძაბა.

როგორც წყარო გვიყვება, ოდესაში მაკ-კიუ თავის მეგობართან, მოლდოველ სპეცრაზმელთან ერთად გადაადგილდებოდა, რომელმაც 2 კვირის წინათ ოდესაში ერთი ბარის ეზოში სასტიკად სცემა უკრაინელ ახალგაზრდა მამაკაცს. მიღებული ტრავმების შედეგად ნაცემი მამაკაცი გარდაიცვალა. ოდესის პოლიციამ დაუყოვნებლივ დააკავა მოლი მაკ-კიუს მეგობარი. ახლა ის ციხეში იმყოფება. ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ზეწოლას ახდენს პოლიციასა და პროკურატურაზე და ითხოვს მოლი მაკ-კიუს მეგობრის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. თუმცა, ამ ფაქტზე მთელი ოდესა საუბრობდა. მოლის მეგობრის დანაშაული იმდენად აშკარაა, რომ სააკაშვილის ჩარევაც კი არ არის საკმარისი მის გამოსაშვებად. თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ დაპირისპირებაშია შესული მიხეილ სააკაშვილი ძალოვან სტრუქტურასთან და მათ დაჭერით ემუქრება, მაგიდაზე მუშტებს უბრახუნებს და დამამცირებლად ესაუბრება, ადვილი მისახვედრია, რა განწყობაა ოდესის პოლიტიკაში. სააკაშვილს ისინი გადამთიელს და გიჟს ეძახიან, უმეტესობა დაინტერესებულია მისი განეიტრალებით. მას დღეს, პრაქტიკულად, მოკავშირე არ ჰყავს და შესაბამისად, ოდესელები სვამენ კითხვას - სააკაშვილი რომელი იუპიტერია, რომ მისი ზეწოლის გამო მკვლელი გავათავისუფლოთ და დანაშაული ვაპატიოთ.

მოკლედ, საქმე ისაა, რომ ოდესელები არ აპირებენ სააკაშვილის თანაშემწის მეგობარ მამაკაცს ახალგაზრდა ოდესელი კაცის მკვლელობა შეარჩინონ. მეტიც, პოლიცია და პროკურატურა თავად მოლი მაკ-კიუს დაპატიმრებას ითხოვს, რადგან ის მომხდარ დანაშაულში წამქეზებლად მიაჩნიათ და მას მკვლელობის თანამონაწილედ ასახელებენ.

სააკაშვილსა და ოდესის პროკურატურას შორის ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ მისი მეგობარი უკრაინის მთავარი პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძეც კი უძლურია, საქმე ჩაფარცხოს. აქვე შეგახსენებთ, რომ დავით საყვარელიძის პოზიციებიც არ არის მყარი, დაახლოებით ერთი თვის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მასსა და მთავარ პროკურორს შორის შავმა კატამ გაირბინა და მის დაჭერაზეც დაიწყეს ფიქრი. მართალია, ამ ინფორმაციის გაჟონვის შემდეგ მთავარმა პროკურორმა განმარტა, რომ მათ შორის იყო პრობლემები, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დავით საყვარელიძის პოზიციები ძლიერია და მას შეუძლია მშვიდად იჯდეს. ვითარება რთულია, ამიტომაც, ჩვენი ინფორმაციით, მოლი მაკ-კიუს დასახმარებლად გიგა ბოკერია გაემგზავრა. როგორც გითხარით, უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელად მუშაობის დროიდან მას მოლი მაკ-კიუსთან აქვს მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა, თუმცა, როგორც ოდესელები იმუქრებიან, მთელი „ნაცელიტა" რომ ჩამოვიდეს აქ და მათმა პატრონებმა დასავლეთიდან გვიბრძანონ მკვლელის გათავისუფლება, ჩვენ ამას არ გავაკეთებთო.

მაშ ასე, ოდესის პროკურატურისა და პოლიციის ხელში უკვე ერთი სამხილია სააკაშვილისა და მისი მრჩევლის წინააღმდეგ და ამ სამხილს ისინი ხელიდან არ გაუშვებენ", - ნათქვამია სტატიაში.

ჩინეთის სასოფლო-სამეურნეო გამოცდილება საქართველოში

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ამერიკული მოდელების დანერგვაზე, მათ უპირატესობებზე და ეფექტურობაზე ვისაუბრეთ. ქვეყანა ცდილობს, განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, კოოპერატიული სისტემის საუკეთესო მოდელი შექმნას. ამ ქვეყნების რიგში ჩინეთიცაა, რომელიც მარცვლოვანი კულტურების ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი და ექსპორტიორია. ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს, კოოპერატიული მეურნეობის გამოცდილება, რომელსაც უზიარებს, სხვა, ძიების პროცესში მყოფ ქვეყნებს. ჩინეთში, კერძოდ, ქალაქ იანლინში, 20 დღიანი ტრენინგ-სემინარი ჩატარდა, სადაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტი ასმათ მახარაშვილიც იმყოფებოდა, რომელიც უფრო დეტალურად ისაუბრებს, ჩინეთში ვიზიტის მიზანზე და მნიშვნელობაზე:

-ჩინური მხარის მიწვევით, საქართველოს 20 კაციანი წარმომადგენლობა, 20 დღის განმავლობაში, ვიმყოფებოდით ჩინეთის ქალაქ იანლინში, სადაც მიმდინარეობდა ტრენინგი "თავთავიანი მარცვლეული კულტურების გადამუშავების პროგრამა". ორგანიზატორი იყო ჩინეთის კომერციის სამინისტრო, დამფინანსებელი მხარე კი ქალაქ იანლინის მაღალტექნოლოგიური სოფლის მეურნეობის სადემონსტრაციო ცენტრი. ეს, ამ კუთხით, პირველი დელეგაცია იყო საქართველოდან ჩინეთში, ყველა რეგიონიდან, ასაკის და სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით. 20 დღის განმავლობაში, გავეცანით მარცვლეული კულტურების (სიმინდი, სოიო, ხორბალი, ბრინჯი) მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებს. ტრენინგები მოიცავდა, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კურსს. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ჩინეთი, 2000 წლიდან კოოპერატიულ სისტემაზეა გადასული. გაერთიანებულმა შრომამ, გაზარდა შემოსავალი, რამაც ჩინეთის სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მძლავრ ბერკეტად აქცია. მნიშვნელოვანია, ისიც, რომ ქვეყანა ადგილზევე აწარმოებს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, თითქმის ყველა ტიპის სამუშაო, მექანიზებულია. განსხვავებულია ჩვენი ნიადაგების შემადგენლობაც. საშუალოდ, 1 ჰა მიწის ფართობზე ჩინეთში, ტაროიანად 22-24 ტონა სიმინდი მოჰყავთ, საქართველოში მისი რაოდენობა მხოლოდ 10-12 ტონას აღწევს 1 ჰა-ზე. საქართველოსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის, გაფორმებულია ხელშეკრულება, რის საფუძველზეც, ხდება ქვეყანაში სასოფლო დანიშნულების თანამედროვე ტექნიკის შემოტანა. ეს ვიზიტი იმითიცაა მნიშვნელოვანი, რომ საფუძველი ჩაეყარა ორ ქვეყანას შორის სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობებს, რაც, ვფიქრობ, სასიკეთოდ იმოქმედებს ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე და სწორი კურსის არჩევაზე სოფლის მეურნეობის კუთხით.

თ. ჯავახიშვილი

მონოპოლია ქართულ ბაზარზე: მედიკამენტები, რომლებიც სიცოცხლის ფასად გვიჯდება

მონოპოლია არაქართული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად - "რაც მინდა იმას გავაკეთებ, საჭირო

ხალხს კუთვნილ წილს მივცემ და ვერავინ ვერაფერს მიზამს, ხალხი კი ფეხზე მკიდია-ს" ნიშნავს.

წამალი ისეთი რამეა, რომელსაც მხოლოდ დანიშნულებისამებრ ყიდულობს ადამიანი, შესაბამისად მხოლოდ მაშინ, როცა სჭირდება. ყიდულობს მაშინაც კი, როდესაც ის ძალიან ძვირი ღირს, ვინაიდან, ხშირად, სწორედ ამ წამალზეა ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებული, ხოლო როდესაც საქმე სიცოცხლეს ეხება, იქ თანხის დაზოგვას არავინ ფიქრობს. სამწუხაროა, რომ დღეს ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე მედიკამენტების ფასი ძალიან მაღალია. ის ადამიანები, რომლებიც ფარმაცევტულ ბაზარს იკვლევენ და სწავლობენ, ამბობენ, ფასები განვითარებული ქვეყნების ფასების თანაბარია, არის შემთხვევები, როდესაც ასწრებს კიდეც. ბევრ წამალზე მოგების მარჯა 500-600%-ს უტოლდება, რაც მხოლოდ ქართული ბიზნესისთვის არის დამახასიათებელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როდესაც საქმე ჯანმრთელობას ეხება, ადამიანი ბოლო კაპიკებს იხდის, მაგრამ არცთუ ისე იშვიათად, ცეცხლის ფასად ნაყიდი წამალი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ჩვენს ჯანმრთელობაზე, იმიტომ, რომ უხარისხოა. ძალიან ხშირია, როდესაც ადგილზე წარმოებული, გარკვეული დასახელების მედიკამენტი არანაირ ეფექტს არ იძლევა, მაშინ, როცა, იგივე დასახელების უცხოური ანალოგი, მაშინვე იძლევა შედეგს.

ასევე, ხშირია, როდესაც აფთიაქებში შესვლისთანავე, საკუთარი წარმოების წამალს გაძალებენ, გეუბნებიან, რომ ის წამალი, რაც გსურს, გაცილებით ცუდია, ხოლო, შემოთავაზებული, ბევრად უფრო ეფექტური. სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი იჯერებს და საბოლოო ჯამში წაგებული რჩება.

ცოტა ხნის წინ, შესაბამისმა სამსახურმა, საქართველოში მოქმედი მსხვილი ნავთობ-კომპანიები 55 მილიონით დააჯარიმა, რადგან აღმოჩნდა, რომ ისინი კარტელურ გარიგებაში იყვნენ და საწვავზე ფასსაც მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით ადგენდნენ, რითაც მომხმარებელი ზარალდებოდა. მაშინ ითქვა, რომ შესაძლოა ფარმაცევტული ბაზრის შესწავლაც დაიწყონ, სადაც მხოლოდ რამდენიმე მსხვილი მოთამაშე ოპერირებს.

ბუნებრივია, გამოძიების გარეშე იმის მტკიცება, რომ რაიმე კანონდარღვევასთან გვაქვს საქმე, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა იქნება, მაგრამ ფაქტია, რომ წლების მანძილზე ეს სეგმენტი აბსოლუტურად ხელშეუხებელი იყო, ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსნები მათგან მხოლოდ არალეგალურ ფულად სახსრებს იღებდნენ და სანაცვლოდ სრულ თავისუფლებას აძლევდნენ. კომპანიები კი ამ გაცემულ ფულს (რომელიც მათთვის არცთუ ცოტა იყო), წამალზე გაუგონარი ფასის დადებით აბალანსებდნენ.

იმედია,ერთხელ მაინც დარეგულირდება საკითხი ისე, რომ მოგებული მომხმარებელი დარჩეს. არავინ ითხოვს, რომ წამლები უფასოდ დარიგდეს, მაგრამ ხომ შეიძლება მოგების მარჯა შეამცირონ, თვითონაც საკმაოდ მსუყე ლუკმა დარჩებათ და ხალხიც მადლობას იტყვის.

ლადო გოგოლაძე

ინფრასტრუქტურის სამსახური, სოფლის პროგრამის ფინანსების ნაშთების ათვისებას იწყებს

სოფლებში ინფრასტრუქტურული და სხვა პირველი რიგი პრობლემების მოსაგვარებლად, რამდენიმე წელია სახელმწიფო ახორციელებს სოფლის პროგრამებს, რომლის საჭიროებაზე და მიმდინარეობაზეც, ჩვენს წინა ნომერშიც ვისაუბრეთ. როგორც აღმოჩნდა, თანხები, რომელსაც სახელმწიფო ყოველწლიურად გამოყოფს, ზოგიერთი სოფლისათვის ბოლომდე გაუხარჯველი დარჩა ნაშთის სახით, რაც საშუალებას იძლევა, ასეთი სოფლებისათვის გაკეთდეს დამატებითი ინფრასტრუქტურული პროექტები.

გიორგი პაპიაშვილი(ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი):

-2012, 2013 და 2014 წლების ნაშთები, მთავრობის 67-ე დადგენილების თანახმად, შეგვიძლია, გადავანაწილოთ და გავხარჯოთ მიზნობრივად, იმ 30-მდე პრიორიტეტის გათვალისწინებით (ხიდების, გზების, სასმელი და სარწყავი წყლების, სანიაღვრე სისტემის, მოედნების და ა.შ), რომელსაც მოითხოვს ის სოფელი, რომელსაც ამ სამი წლის განმავლობაში დარჩა შესრულებული სამუშაოებიდან ფულადი ნაშთი. ასეთი სოფლების რიცხვი, 20-მდეა, სადაც გამგებლის წარმომადგენლებმა უკვე ჩაატარეს კრება და შეარჩიეს პრიორიტეტებიც. ამის შემდგომ, ტენდერის გამოცხადების გარეშე ხდება ხელშეკრულების გაფორმება მეწარმეებთან,რომლებიც იღებენ პროექტების შესრულების ვალდებულებას. სამუშაოების დაწყება 5-6 აგვისტოსათვის იგეგმება. დარჩენილი თანხის საერთო რაოდენობა 118 627 ლარს შეადგენს,რაც არ იძლევა იმის შესაძლებლობას,რომ დიდი მასშტაბის სამუშაოები დაიგეგმოს ერთ კონკრეტულ სოფელში, ამიტომაც, შესაძლებელია, რამდენიმე სოფლის გაერთიანება და აშენდეს საერთო საჭიროების დიდი ობიექტი.

თ. ჯავახიშვილი

რამ გააბრაზა პენსიონერი?!

შეხედე, შეხედე თუ კაცი ხარ, აღშფოთებით მომმართა რედაქტორის კაბინეტში შემოსულმა მოქალაქემ, სავარაუდოდ გაზეთის გულშემატკივარმა და ტელევიზორზე მიმითითა. შეხედე ამ გადაცემას და,თუ ძმა, ხარ! გულახდილად მითხარი,რა არის ეს. რა ჰქვია ამას?!

–რას? რაზე ღელავთ, ბატონო! ვამშვიდებ დილის სტუმარს.

–ისევ ის გადაცემა,ამ ბოლო ხანებში თითქმის ყველა არხზე, სისტემატურად რომ გადაიცემა ე.წ. კულინარული დუეტი თუ შეჯიბრება...

რა არის ეს,თუ არა ჩვენს ფსიქიკაზე და თავმოყვარეობაზე ზეწოლა,ძალადობა თუ გაუგონარი ცინიზმი. სხვანაირად, როგორ ვიფიქრო, მე ხანდაზმულმა პენსიონერმა, რომელმაც ამ დილით ერთი ჭიქა უშაქრო თბილი წყალი დავლიე, ჩაის ვერ დავარქმევ, რადგან ჩაი არ მქონდა,ისიც საკმაოდ ძვირია,ჟოლოს ფოთლის ნაყენი იყო,გემრიელი კია ის დალოცვილი. ამათ შეღებილ ჩაის, ჟოლოს ფოთლის არომატული და სურნელოვანი ნაყენი ნამდვილად ჯობია.

–ბოდიში, ცოტა გადავუხვიე თემას.

–რას გვთავაზობენ ყოველდღიურად ეკრანიდან კარგად ნაკვებ-ნაპატიები, ჩაპუტკუნებული ქალები, ზოგჯერ მამაკაცებიც.

–რას? - ჩავეკითხე.

–რას და აი ასეთ რამეს: აიღეთ 1-2 კგ. სუკის ხორცი(!), კარგად გარეცხეთ და მერე ასე ქენითო, ისე ქენითო და კარგად რომ შეიბრაწება – მიირთვითო. აგაშენათ ღმერთმა, კარგია შამფურზე, მაყალზე შებრაწული სუკი, მაგრამ ჩვენ რა... აგერ ლამის ათი წელი ხდება გრამი ხორცი არ მიყიდია,სუკზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, ხორცს, ხაშლამას ხანდახან ქელეხის სუფრაზე თუ დავაგემოვნებ ხოლმე, ეს არის და ეს. ჩემთვის სულ მარხვაა და ეს გადაცემები ნერვებს გვიშლიან და მეტი არაფერი!.

–მგონი გუშინიწინ იყო, გამოვიდა ტელევიზიაში ერთი სახეგაბრწყინებული ქალბატონი და მოგვმართავს: აიღეთ 1-2 კგ. ასატრინა, დაჭერით მსხვილ ნაჭრებად და მოათავსეთ ღრმა ტაფაში. კარგად რომ შეიბრაწება,მოასხით „მაშარაფი“ (მგონი ბროწეულის წვენია), მარილი გემოვნებით და მიირთვით(!) და ერთი მოზრდილი ნაჭერი, იქვე ღუმელთან ძაღლის ლეკვივით ჩაცუცქულ თანამეინახეს პირდაპირ პირში ჩაჩურთა. იმანაც, ერთი უშველებული იფ, იფო ატეხა და ასატრინის ჯერ კიდევ ცხელი ნაჭერი, რის ვაი ვაგლახით გადაუძახა სტომაქში. თქვე დალოცვილებო, სუკის ხორცი და ასატრინა, რომ დელიკატესებია, უძვირფასესი პროდუქტებია, ამას რა რეკლამა და იფ, იფის ძახილი უნდა. შეიცოდეთ უპოვარნი. აი, ბებიაჩემი მინადორა ცომაია, 3-5 კაკალი ნიგოზით ისეთ საწებელს ამზადებდა, მართლა თითებს ჩაიკვნეტდი. მას არც ეს გადაცემები უნახავს და არც თბილისის კულინარიის აკადემია დაუმთავრებია. ესენი კი რა ტერმინებს არ იყენებენ, რა ჯიშებს და სად მოყვანილს ,არ ასახელებენ, გაგიკვირდება, მათ ვერც მოვძებნით და ვერც შევიძენთ ჩვენ უბრალო მოკვდავნი. ქართველ ქალს (არ ვგულისხმობ იმ ქალბატონებს,რომლებიც ამაყობენ და კეკლუცობენ იმით, რომ კვერცხის შეწვაც არ იციან, ვაი, შე ბედკრულო საქართველო,ასეთი დიაცე-

ბის ხელში), რად უნდა ამდენი ალიაქოთი და მატრაბაზობა საჭმლის მომზადებას. ქართული სამზარეულო (კერძები) ძალიან მრავალფეროვანი, საინტერესო და უგემრიელესია, ის თაობიდან თაობას გადაეცემა და ტრადიციადაც იქცა. რასაც დღეს თავგამოდებით ებრძვიან ე.წ. ლიბერალ-დემოკრატები, ის გადამთიელები, რომელთათვისაც არც ტრადიცია არსებობს და არც მამული. ეს კულინარული ვაკხანალია ამის ნაწილი ხომ არ არის?!!

რ. სავანელი

ნიკა ახ-ალკაცი-საერ-თაშორისო ტურნირის ვერცხლის მედალოსანი

მოჭადრაკე ნიკა ახ-ალკაცის წარმატებების შესახებ ჩვენს მკითხ-ველს პერიოდულად ვაწვდით ინფორმაციებს. ნიკა ჯერ 13 წლისაა და თანატოლებში საქართ-ველოს მასშტაბით უკვე გამორჩეული ფიგურაა. ამ დღეებში იგი ბა-თუმის საერთაშორისო ტურნირში ჩაება, რო-მელშიც ოთხი ქვეყნის მოჭადრაკეები იღებდ-ნენ მონაწილეობას (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახე-თი). ნიკა ერთი წლით უფროსებში გამოდიოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა,შესანიშნავი შე-დეგი აჩვენა – 7 თამაშიდან 5 ქუ-ლით ვერცხლის მედალი ირგუნა.

ვულოცავთ ნიკას და მის მწვრთნელს ალექსაქნდრე ჭა-დაშვილს ამ წარმატებას და იმედი გვაქვს, ნიკა უფრო მსხ-ვილი მასშტაბის ტურნი-რებშიც ასახელებს რაიონს.

სიახლე საჯარო რეესტრში

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობას საქმე გაად-ვილებოდა და კომფორტულ გარემოში დარეგისტრირების საკითხი მოგვარებოდა, სამო-ქალაქო და საჯარო რეესტრი ერთ სივრცეში მოთავსდა. არის არაჩვეულებრივი გარემო, რო-გორც მომხმარებლისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. აქვე, არის საქართველოს ბანკის წარმო-მადგენელი, რაც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, ადგილ-ზევე, ყოველგვარი რიგის გარეშე ისარგებლოს საბანკო სერვისით.

როგორც ჩვენთან საუბარში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხაშურის სარეგისტრა-ციო სამსახურის უფროსმა ნანა ჭანკოტაძემ აღნიშნა, საკმაოდ დატვირთული გრაფიკია, არის უა-მრავი განცხადება ქონების, მიწის ნაკვეთის,სამეწარმეო და არასამე-წარმეო იურიდიული პირების რეესტრის, სხვადასხვა ნასყიდო-ბების დარეგისტრირების საქ-

მეზე, საზოგადოებას ემსახურება კვალიფიცირებული თანამშრომ-ლები. საჯარო და სამოქალაქო რეესტრიც ექვემდებარება იუს-ტიციის სამსახურს, ვართ ერთ სივრცეში, სადაც ჩვენს საქმეს ვასრულებთ, რაც მოსახლეობას აძლევს იმის საშუალებას, რომ ყოველგვარი ზედმეტი ძალისხ-მევის გარეშე ერთ სივრცეში მიიღონ ყველა ტიპის საჯარო და სამოქალაქო მომსახურეობა.

ინგა პაპიაშვილი



პრობაციის სამსახურის ინიციატივა

უმუშევრობის პრობლემა, დღემდე აქტუალურია განვითარება-დი ქვეყნებისათვის. განსაკუთრებულ სირთულეს, პირობითი მსჯავრ-

დებულების დასაქმება წარმოადგენს. რადგან, სამწუხაროდ, საზოგადოე-ბის და კერძო კომპანიების დამოკიდებულება, არაერთგვაროვანია მათ მიმართ. ამიტომ,სახელმწიფომ და კერძოდ, შესაბამისმა სტრუქტურებმა, დაიწყეს ზრუნვა,მათი საზოგადოებასთან შრომითი ინტეგრაციის კუთხით.

როგორც სსიპ არასაპატიმრო სასჯელთაღსრულებისა და პრო-ბაციის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის პრობაციის ბიუროს ხა-შურის ოფისში გვითხრეს, პრობაციონერთა დასაქმების პროექტი 2015 წლის იანვრის თვიდან დაიწყო. ეს უკვე მეშვიდე პროექტია, რომელ-საც ეს სამსახური პრობაციონერებს სთავაზობს. ხდება კომპანიების მოძიება და, შეთანხმების შემთხვევაში, მათი დასაქმება. ამჟამად, შიდა ქართლის პრობაციის ბიუროს ხელშეწყობით, ხაშურში ოთხი პირობითი მსჯავრდებული დასაქმდა. ხაშურის პრობაციის ოფიცერმა მიმართა კომ-პანია "ბი სი მაქსს", რომელსაც რეგიონში ინტერნეტის ოპტიკურ-ბოჭკო-ვანი ქსელი გაჰყავს. კომპანიამ გაითვალისწინა პრობაციის ოფიცრის რეკომენდაციები და მოხდა პირობითი მსჯავრდებულების დასაქმე-ბა. მათი დღიური ანაზღაურება 25 ლარით განისაზღვრება. პრობაციის ეროვნული სააგენტოს ძალისხმევით, 2015 წელს, უკვე 65 პრობაციონერი დასაქმდა, .რაც ძალიან კარგ პრეცენდენტს ქმნის და ტოვებს განცდას, რომ სახელმწიფო ერთნაირად ზრუნავს თავის ყველა მოქალაქეზე.

თ. ჯავახიშვილი

ხაშურის თოჯინების თეატრი არ დალატობს ტრადიციას და ზაფხულში ბავშვებს ულამაზეს სპექტაკლებს სთავაზობს. ამჯერად თეატრმა „ბინა“ სურ-ამში დაიდო და საკურორტო სეზონის დასრულებამდე ჩამოსულ თუ ადგილო-ბრივ პატარებს ქართული ზღაპრების უამრავ გმირთან მოუწევთ შეხვედრა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტი-ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.